საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

27/08/2024

MES 6 24 0001018951

გადაწყვეტილება

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში"პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლის ურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მ უხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 29 დეკემბერს წარმოდგენილ იქნა შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში №01/151 (ცენტრში რეგისტრაციის - №1783247, 29.12.2023 და №1782582, 29.12.2023) წერილი, რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "პოლიტიკის მენეჯმენტის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2024 წლის 18 იანვრის №41099 ბრძანების საფუძველზე, შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2024 წლის 27 თებერვლის №218993 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2024 წლის 22 მარტს განახორციელა

სააკრედიტაციო ვიზიტი დაწესებულებაში. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	**x**			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**x**			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		**x**		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**x**			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4 ზეპირი მოსმენა გაიმართა **2024 წლის 13 აგვისტოს.** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ, საბჭომ 1.3 კომპონენტში რჩევებიდან გადმოიტანა რეკომენდაციაში: "რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, პროგრამის გარკვეული შედეგი (ებ)ის მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) სათანადო დონის მიღწევის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლო კურსი მხოლოდ ერთ სწავლის შედეგს მიემართება". შედეგად, 1.3 კომპონენტთან უკვე არსებული და დამატებული რეკომენდაციის საფუძველზე, შეფასება ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან". 1.4 კომპონენტთან მიმართებით დაემატა შემდეგი რეკომენდაციები: 1. „რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან".

2. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს კვლევის მეთოდები“.
რჩევებიდან გადმოვიდა რეკომენდაცია: „რეკომენდებულია ახალი კურსის/კურსების გათვალისწინება ქართული კონტექსტის ცოდნის გაძლიერებისა და გაღრმავების, ასევე სტუდენტების მიერ ქართული პოლიტიკის ისტორიული/კულტურული კონტექსტისა და თავისებურებების უკეთ გაგების მიზნით“. შედეგად, სტანდარტის 1.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. 1.5. კომპონენტთან დამატა რეკომენდაცია: “რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსების ლიტერატურა“. შედეგად, 1.5 კომპონენტი ნაცვლად, „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. მთლიანობაში პირველი სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ აკრედიტაციის სტანდარტის 4.1 კომპონენტთან დაამატა რეკომენდაცია: „პროგრამის მდგრადობისთვის, რეკომენდებულია პროგრამის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური (მათ შორის აფილირებული) პერსონალით უზრუნველყოფა“. შედეგად, სტანდარტის 4.1 კომპონენტთან არსებული და დამატებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც, „არ არის შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. სტანდარტის 4.2 კომპონენტთან დაემატა რეკომენდაცია: „პროგრამის განხორციელებისათვის რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისათვის წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი“. შედეგად 4.2 კომპონენტი, არსებული და დამატებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. მთლიანობაში მე - 4 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც, არ არის შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
შესაბამისად, საბჭო მიიჩნევს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა საჭიროებს შინაარსობრივ განვითარებას და ადამიანური რესურსების განახლებას.

3. სარეზოლუციონაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, მე-8 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის საფუძველზე 12 ხმით, 2 ხმის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:
1. უარი ეთქვას შპს ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს საქართველოში ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „პოლიტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. ცნობილ იქნას „პოლიტიკის მენეჯმენტის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2024 წლის 27 აგვისტოს №1018796 ოქმის 04 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა, პროგრამის გარკვეული შედეგი (ებ)ის მიღწევის (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) სათანადო დონის მიღწევის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ზოგიერთი სასწავლო კურსი მხოლოდ ერთ სწავლის შედეგს მიემართება;
2. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდებულია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში დაემატოს კვლევის მეთოდები;
4. რეკომენდებულია ახალი კურსის/კურსების გათვალისწინება ქართული კონტექსტის ცოდნის გაძლიერებისა და გაღრმავების, ასევე სტუდენტების მიერ ქართული პოლიტიკის ისტორიული/კულტურული კონტექსტისა და თავისებურებების უკეთ გაგების მიზნით;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს და განახლდეს სასწავლო კურსების ლიტერატურა;
6. პროგრამის მდგრადობისთვის, რეკომენდებულია პროგრამის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური (მათ შორის აფილირებული) პერსონალით უზრუნველყოფა;
7. პროგრამის განხორციელებისათვის რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისათვის წარმოდგენილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებისთვის განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები იმ შემთხვევებისთვის, თუ ვერ მიიღწევა სამიზნე ნიშნულები;
9. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების უშუალო ჩართვა თვითშეფასების ჯგუფის მუშაობაში;
10. ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა უნდა გამოიყენოს უფრო პროაქტიური მიდგომა შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პროფესორების გონივრული შერჩევისათვის და გაზარდოს პროფესორთა კადრი მოწვეულ ლექტორებთან მიმართებაში;
11. ანალოგიურად, პროგრამის მომავლისათვის მიზანშეწონილია, რომ მაგისტრატურის სტუდენტებისა და მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისათვის წარმოდგენილნი იყვნენ სამეცნიერო კვლევებში ფართო გამოცდილების მქონე ცნობილი პროფესორები;
12. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების მეტი ფორმალიზება, რაც გულისხმობს აქტივობების ამსახველი და დამადასტურებელი ოფიციალური ანგარიშების მომზადებას, სადაც ხაზგასმული იქნება პროგრამის ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები, აისახება რჩევები და რეკომენდაციები, ასევე რეაგირების ანალიზის დოკუმენტაცია, სადაც აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე პასუხები.

რჩევები:

1. სასურველია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი მომავალშიც იღებდეს მხარდაჭერას და მეტი სიხშირით უტარდებოდეთ ტრენინგები სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად;

2. სტუდენტთა საკონსულტაციო და დამხმარე სერვისების თვალსაზრისით სასურველია შემდეგი: სხვადასხვა ქვეყანაში გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობის გაზრდა;
3. სასურველია, უნივერსიტეტმა აამაღლოს ცნობიერება სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ;
4. პროგრამის მომავლისთვის სასურველია, რომ მასში მეტი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევებში დიდი გამოცდილების მქონე პროფესორები;
5. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის სასურველია, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის მეტი მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების ეფექტურ ფუნქციონირებას.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 27 აგვისტოს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) დაწესებულების ინფორმირების დღიდან ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა
ელექტრონული

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მენეჯმენტი/ Political Management
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი Master of Political Science
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N92, თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2024 წლის 27 აგვისტო
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-

18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	-